დანართი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო
კომისიის 2019 წლის სამოქმედო გეგმა

საარჩევნო ადმინისტრაციის 2019-2020 წლების სტრატეგიული გემის საფუძველზე შემუშავდა 2019 წლის სამოქმედო გეგმა,რომელიც ხელს უწყობს საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული მიზნების განხორციელებას. სამოქმედო გეგმა შედგენილია უსკოს სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით, განხილვებისა და დისკუსიების შედეგად, ის წარმოადგენს ერთობლივ დოკუმენტს, რომელმაც უნდა განსაზღვროს დასახული სტრატეგიული პრიორიტეტების შესრულების გზები, სამოქმედო გეგმა მოიცავს იმ ძირითად საქმიანობებს, რომლებიც უნდა განახორციელოს საარჩევნო ადმინისტრაციამ 2019 წლის განმავლობაში.

სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი

უსკოსა და უსკოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების სამუშაო შეხვედრების შედეგად შემუშავდა საარჩევნო ადმინისტრაციის 2019 წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია სტრატეგიული მიზნების მისაღწევად დაგეგმილი საქმიანობები, ვადები და ასევე მოსალოდნელი შედეგები.

ანგარიშგება

სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაზე მომუშავე ჯგუფი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროექტების დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში უსკოს წარუდგენს ანგარიშს, განხორციელებული სამუშაოს და შედეგების შესახებ, შეაფასებენ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ და განხორციელებულ სხვა მნიშვნელოვან ხელშემწყობ საქმიანობების შესრულების პროცესს. ამასთან, განიხილავენ საარჩევნო ადმინისტრაციის მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის პროექტს.

სტრატეგიული პრიორიტეტი 1: ინსტიტუციური გაძლიერება აჭარის ავტონომიური რესპუბკლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სანდოობისა და ცნობადობის ზრდა, ადამიანური რესურსების განვითარება და მისი ეფექტიანი მართვა														
მიზანი	**საქმიანობა**	**ღონისძიების განხორციელების ვადა**												**დაგეგმილი ღონისძიებები**
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
ინსტიტუციური განვითარება	უსკოს თანამშრომლების გადამზადება													• საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტთან (IRI) თანამშრომლობით პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთათვის ტრენინგის მოდულის შექმნა
სანდოობის და ცნობადობის ზრდა	უსკოს ვებ-გვერდის განახლება													• უსკოს ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ვერსიის შექმნა
	ღია კარის დღეების ორგანიზება													• უმაღლესი საარჩევნო კომისიის 15 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება • გამოფენის მოწყობა

	საგამომცემლო საქმიანობა													• თემატური შეხვედრა სტუდენტებთან • ბროშურა "უსკოს ისტორია" პრეზენტაცია • წიგნის „არჩევნების ისტორია აჭარაში" პრეზენტაცია
	უსკოს თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან													• სადამკვირვებლო მისია ბელგიაში ევროპარლამენტის, ფედერალურ და ადგილობრივ არჩევნებზე. • სადამკვირვებლო მისია გერმანიაში, ბრანდერბურგის ლანდტაგის არჩევნებზე. • სადამკვირვებლო მისია პოლონეთის საპარლამენტო არჩევნებზე

სტრატეგიული პრიორიტეტი 2:
რეგიონში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება, ამომრჩეველთა ინფორმირება
უსკოს საქმიანობის გამჭვირვალობა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დონის ამაღლება, ამომრჩეველთა აქტივობის ზრდა სასწავლო- საინფორმაციო პროგრამების შემუშავება/განხორციელება

მიზანი	**საქმიანობა**	**ღონისძიების განხორციელების ვადა**												**დაგეგმილი ღონისძიებები**
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება	რეკომენდაციების მომზადება კანონმდებლობის დასახვეწად													• უმაღლესი საარჩევნო კომისიის წინადადებები და მოსაზრებები „აჭარის ავტონიმიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით
	ახალგაზრდა ამომრჩევლების ინფორმირება, საგანმანათლებლო საქმიანობის წარმოება													• სასწავლო-საინფორმაციო კურსის „ჩემი პირველი არჩევნები“ განხორციელება აჭარის სკოლებში

	2020 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება													